



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატოვანი გაზეთი გამოდის ქოველ კვირა დღეს.

№ 10 მ ა რ ტ ი 7 1899 წ. № 10

შინაარსი: თავად-აზნაურთა საქმეები ნ. ყორღანისი. — სხვა და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — ვერიდან კვირამდე. — მეგობარს ლექსი თომაშვილისა. — რუსეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვა. — მიწათ-მფლობელობა ქიზიყსა კოპლაცა-ძისა. — ტყეშიც — ლექსი პროზათ ია ევალაძისა. — კვალის ფოსტა. — ტ რაუი. — უცხო სიტყვების ახსნა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის ბირდაბირ, სადაც წინეთ რედაქცია იყოფებოდა.


თავად-აზნაურთა საქმეები.

2. წამომადგენლობა.

ქუთაისის ბანკის მსესხებლებმა უკვე აირჩიეს თავისი 105 წარმომადგენელი, ერთი ამდენი კიდევ თავად-აზნაურობამ უნდა აირჩიოს. მაშასადამე სრული არჩევანი ჯერ არ ყოფილა, მარა, მიუხედავთ ამისა, ის რაც უკვე იყო, დიდათ საგულისმიერო და დასაფიქრებელია. ეს პატარა არჩევანი ბევრს, ძალიან ბევრს გვასწავლის, გვასწავლის არა მარტო საბანკო საქმეებს. — ეს უფრო კერძოა, არამედ ჩვენ საზოგადო მოღვაწეობის ავ-კარგს, საზოგადო საქმიანობის წეს რიგს, საზოგადო მიხვედრილობის ღირსებას. ის საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენებური ბრძოლის, ჩვენებური მოქმედების და მოძრაობისა. ის ისეთი გაკვეთილია რომელსაც გულდასმით შესწავლა და ხანგრძლივი დახსოვება ეჭირვება. მაშ შევისწავლოთ და დავიხსოვოთ ჩვენც.

ამას წინეთ ვწერდით, რომ თფილისის ზოგი ქართველობა, როგორც კი ის ქალაქის საარჩევნო ასპარეზზე დამარცხდა, ყარაულის ძებნას შეუდგა. საარჩევნო ასპარეზის შევიწროება, მეტბრძოლთა დაბოროტება, მოქმედების გამიჯვნა — აი, რა წამოაყენეს მათ

თავის სახსნელათ. სწორეთ, ასეთივე დროშა იქნა აფრიალებული ქუთაისში საბანკო ასპარეზზე. 1890 წ. ჩიკვაძის პარტიამ დაამარცხა ოპოზიცია და ბანკის მეთაურათ თვითონ შეიქმნა. და აი, ოპოზიციის მეთაურმა ბ. კირილე ლორთქიფანიძემ მაშინვე წინადადება შეიტანა: მოვსპოთ თავად-აზნაურთა უფლება ბანკში პირდაპირი მონაწილეობის მიღებისა და სამაგიეროთ წარმომადგენლობა შემოვიღოთო. მისი აზრით, წარმომადგენლობა „ყოველთვის უფრო უკეთ განსჯიან საქმეს, ვინემ ორი ათასი და სამი ათასი კაცი, შემთხვევით ჩამოსული ქუთაისში“ („ივ.“ № 107). ეს ბანკის წევრთა უფლებების შეზღუდვა, ეს ბრძოლის ასპარეზის შევიწროება არ მოეწონა კრებას და წინადადება არ მიიღო. 1893 წ. იგივე ოპოზიცია ხელ-მეორეთ დაამარცხა საზოგადო კრებამ ბ. კ. ლორთქიფანიძემ ხელმეორეთ შეიტანა თავისი წინადადება: მოვსპოთ საზოგადო კრებებიო და კიდევაც მიაღწია მიზანს. კრებამ დააეწა ბანკის ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას შესაფერი პროექტის შემუშავება და მომავალი კრებისთვის წარდგენა. ამნაირათ, ოპოზიციამ მოიგო მხოლოდ ერთი ბრძოლა — ბრძოლა თავად-აზნაურთა უფლებების შეკვეცისა. მან იფიქრა, ჩვენ გვამარცხებს ის ვარემოება,



რომ ბანკის ათას და ორი ათას წევრს ნება აქვს კრებაზე მოვიდეს და მონაწილეობა მიიღოს, და თუ იმათ ამის ნებას აღარ მიეცემთ, თუ მათ პირდაპირ მონაწილეობის მიღებას აუკრძალავენ — ბრძოლასაც მოვიგებთო. ეს არის გამარჯვება „კანონის ძალით“. აი, ამ ხანს ჩაებლაუჭა ქუთაისის ოპოზიცია და ის სალ კლდეთ გამოიტანა. ამაში დარწმუნდნენ გამარჯვებულნიც, მართლა დაგვამარცხებენ თუ კი წარმომადგენლობა შემოიღესო და რადგანაც ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ამათგან შედგებოდა კრების გადაწყვეტილებას ამ საგნის შესახებ მსვლელობა არ მისცეს. ახმაურდა ხელ-ახლა ოპოზიცია და გუბერნიის მარშალმაც, გურიის თავდაზნაურობის თხოვნით, ეს საქმე თავის საქმეთ გაიხადა და მის მოსაგვარებლათ 20 იანვარს, 1894 წ., გუბერნიის თავდაზნაურთა საგანგებო კრება მოიწვია. კრებას დაესწრო მხოლოდ 48 წევრი. ქუთაისის ინტელიგენცია ბ. კ. ლორთქიფანიძის წინამძღოლობით კრების სულის ჩამდგმელი შეიქმნა, ხოლო გამარჯვებული კ. ჩიკვაიძე კი კრების წინააღმდეგ ამხედრდა. აი, რა თქვა მან: „ჩემი ფიქრით მარტო თავდაზნაურთა კრებას არა აქვს ნება ბანკის წესდება შეცვალაო. 81 მუხლის ძალით ჩვენის ბანკის წესდების ყოველი შეცვლისათვის უნდა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე 2/3 დაწვესებელთა... თავდაზნაურობას არა აქვს უფლება. აქაო და სათავდაზნაურო ბანკი ჰქვიანო, მართლა თავდაზნაურობისა კი არ არის, მხეილის სახელიც კი ჰქვიან. მაკრამ ნამესტნიკს კი არ ეკუთვნის“ („ივ.“ № 5). კრებამ, რასა კვირველია, ეს არ იცნო და რადგინა მთელი გუბერნიის თავდაზნაურობის სახელით წარმომადგენლობის შემოღების შუამდგომლობა. ეს დავა ქუთაისის ბუღალარიდან მწერლობაშიაც გადმოვიდა და თითქმის ყველა ქუთათური მწერალი მას მომხრეობდა. „ახალი მიმოხილვის“ ერთი ქუთათური თანამშრომელი კიდევაც იკვების იმით, რომ ეს პროექტი ოპოზიციის ნაღვაწიაო (26 იანვრის ნომერი), ხოლო ბ. ვეტრანი იმავე გაზეთში პირდაპირ აღიარებს, რომ ბანკის ყოველივე უძღურებას მიზეზი თვით წესდებაა და არა კერძო პირიო. დაკანონეთ წარმომადგენელთა კრება და ბანკის საქმეც კარგათ წავაო (30 იანვრის ნომერი). მარა ყველა ამ დავაში განსაკუთრებით საყურადღებოა ბ. ნ. ნიკოლაძის ორჭოფობა და ბ. მაიაშვილის პირდაპირობა. ნიკოლაძე წერს: „...წარმომადგენელების კრება თითქმის ყოველთვის უფრო ჰქვიან, გამოცდილ და მკოდნე კაცისაგან შედგება და ამისთანაების შეცდენა უფრო ძნელია ცბიერ მოთავისათვის, ვინემ მთელი ერისა (?), მარა მარტო ეს არას მოგვიტანს, თუ კი არ შევეცა-

დეთ და სამაზრო კრებებზე ხეირიანი ხალხი არ ვეირო ჩიეთო“ („მოამბე“ 1894 წ. № II გვ. 111). უფრო გარკვევით და გადაჭრით ბ. მაიაშვილი წერს: ის ადარებს თფილისის და ქუთაისის ბანკებს ერთმანეთს და აღიარებს პირველის წარმატებას და მეორის, პირველთან შედარებით, ჩამოქვეითებას. რა არის ამ ორა მოვლენის მიზეზი? ამის მიზეზი, მისი აზრით, არის შემდეგი: „თფილისის ბანკას ბედის გადამწყვეტი სულ უკანასკნელ დრომდე იყო საზოგადოება და მისი ჭეშმარიტი წარმომადგენელი — ინტელიგენცია. ქუთაისის ბანკის გადამწყვეტი, მისი ცხოვრების პირველი ხანის გარდა, იყო ბჭოა, ქუჩა და მისი წარმომადგენელი — საბანკო თანამდებობათა მოტრფიალენი, ინტელიგენტთა ბრბოდან გამოსულნი, კაცნი შემთხვევითნი და პატივ-მოყვარეობით აღძრულნი“. ამიტომ საჭიროა ბანკიდან ამ „ბრბოს“ განდევნა და შიგ „ჭეშმარიტი ინტელიგენციის“ შეყვანა. „რაც უფრო ბევრი ხალხი ესწრება ჩვენ კრებაზე, მით უფრო ნაკლები საქმე კეთდებაო“ („მოამბე“ 1897 წ. № II, გვ. 94—97; კურსიეი ავტორისა).

ამ სახით, ქუთაისის „ჭეშმარიტი ინტელიგენცია“ ბ. ბ. კირილე ლორთქიფანიძის, გ. მაიაშვილის და სხვათა მეთაურობით ამხედრდნენ „ბრბოს“ წინააღმდეგ და მოითხოვეს მისი ხელ ფეხის შემოჭვა. „ბრბოს“ და „ჭეშმარიტი ინტელიგენციის“ შორის ხიდი ყოფილა ჩატეხილი. პირველი მეორეს აშავეს, მეორე ბორკილს უყრის პირველს. იქ სადაც პირველია, მეორეს აღარ დაედგომება, სადაც მეორეა იქ პირველი ვერ მობრძანდება. და როცა ასპარეზი „ბრბოსაგან“ დაიცილება, როცა მას იქ მისეულის ნება აღარ ექნება, მაშინ თურმე „ჭეშმარიტი ინტელიგენცია“ გამოჩნდება და დაცილილ მოედანს დაეპატრონება. ასე გვარწმუნებს თვით ეს „ინტელიგენცია“ და ამ აზრით იშუამდგომლა მან წარმომადგენელობის შემოღება. დაკანონდა წარმომადგენელობა და გასულ კვირას კიდევაც აირჩიეს წარმომადგენელები. და მერე თქვენ გვონიათ „ჭეშმარიტი ინტელიგენციამ“ მართლა ისარგებლა ამ კანონით? რა ბრძანებაა. ეს ნაზნი არსებანი საშინლათ დაამარცხა იმ „ბრბომ“, რომელსაც ისინი ასე შორს გაუბრძიან. არც ერთი იმათ მეთაურთაგანი არ გაუთეთრებიათ. ეს დამარცხება, თავისი შინაგანი თვისებებით და მეთოდით, პირველი უნდა იყოს ჩვენ სარჩენო მატრიანეში. ჩვენში, ჩვეულებრივით, პარტიათა სასტრუქი განკერძოება, განთვითება და დესციპლინა არ არსებობს. ხშირათ, ერთი და იგივე კრების უმრავლესობა სულ სხვა-და-სხვანაირ პარტიის კაცებს აირჩევს. მოიკონეთ მაგ. შარშანდელი ქუთაისის ზმოსანთა არჩევანი, სადაც ოპოზიცია და არა ოპოზიცია დო-

სხვა-და-სხვა ამბავი.

მხალივით აირ-დაირია ერთმანერთში. აი, ასეთ არე-
დარევას ვერ ვხედავთ ახლანდელ არჩევანში. ცხადია
ჩიკაიდის პარტიის საარჩევნო პრინციპი ყოფილა
à la guerre, comme à la guerre — ომში, რო-
გორც ომში — და ოპოზიციის ყველა სარდალი თა-
ვისი ჯარინათ უღმობლათ ჩაუჩენია. ამათ წინეთ ბან-
კის კრებაზე დასწრება და იქ ლაპარაკი მაინც შეე-
ძლოთ, ახლა კი აღარც ამის ნება აქვთ. „ქვეშარტი
ინტელიგენციას“, სურდა „ბრბო“ გამოეგდო ბან-
კის დარბაზიდან, ნამდვილათ კი მან თავის თავი გა-
მოაგდო იქიდან. აი, ბრძოლა და საქმიანობაც ამას
ჰქვია! მას ველარც წარმომადგენლობამ უშველა რამე-
ახლა იმას აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ
კიდევ ერთი პროექტი შეადგინოს წარმომადგენლო-
ბის წინააღმდეგ ზე ბანკში თავისი თავის შესაყვანათ
ყარაულები მოითხოვოს, ისე როგორც ბ. ნიკოლა-
ძე ითხოვს თფილისის საბჭოში შესასვლელათ. ამას
მოითხოვს მათი ლოლიკა და თუ ასე არ მოიმოქმე-
დეს, ეს მათი ულოლიკობა იქნება. ქუთაისის ოპო-
ზიციამ ვერც ძველი წესი გამოიყენა და ვერც ახალი.
და მას, რაც უნდა წესი მისცე, ვერც ერთს ვერ გა-
მოიყენებს, სანამ ის ისეთი ოპოზიცია იქნება, რო-
გორც დღეს არის. წესს, კანონს რომ სასწაულ-
მოქმედება შეეძლოს ქუთაისის ბანკის მეთაური კ.
ლორთქიფანიძე იქნებოდა და მის აღიუტანტებათ გ.
ზდანოვიჩი ზე კ. ბაქრაძე. მარა განა რაიმე კანონი წამო-
აყენებს ხოლმე დაუძღურებულ ზე უნიადაგო პარტიას?
ზე, აი, სწორეთ ასეთი პარტია განლავს დღეს ქუთაისის
„ქვეშარტი ინტელიგენცია“ „მისი უძღურების მიზნზე
იმალება მის მეტისმეტ სისათუთეში, „ბრბოს“ აბუჩათ
აგდებაში და მისგან განდგომაში ისინი განლავან კა-
ბინეტის ხალხი, პროექტების მთხველნი, პლანების
მომგონნი. იმათ საქმე აქვთ ქალაღლთან და საწერ-
კალამთან. პრაქტიკული მოღვაწეობა, ხალხთან დაახ-
ლოება და მის მეთაურათ გამოსვლა მათთვის არ და-
წერილა. ისინი დამჯდარან თავის ოთახში და იძა-
ხიან: ეი, ივანიკა, ამირჩიე თვარა ტყავს გაგადრობო.
ასეთი მბრძანებელი, ასეთი განაზებული, ასეთი უსა-
ქმო ოპოზიცია რაიმე ბრძოლას მოიგებს? აი, რო-
გორ უძღურებასთან აქვს საქმე ჩიკაიდის მოძრაე და
მომქმედ პარტიას ზე რალა გასაკერველია ის მძღაერ-
ღებოდღეს და ქუთაისში ბატონობდღეს... 1)

ნ. ჟორდანიას.

1) ეს წერილი უკვე ამოწეობილი იყო, როცა თავ-
და-აზნაურების წამომადგენელთა ანკევის ამბავი მო-
ვიდა. ეს ანკევისი ერთსულ კიდევ ამტკიცებს იმ მოსაზ-
რებას, რაც წერილშია გამოთქმული.

მბათს, 27 თებერვალს მიწას მიაბარეს თფილი-
სის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი — ერთი
საუკეთესო მშრომელი პედაგოგი რაჟდენ სოლომო-
ნის ძე ჯაჯანაშვილი. მარტო სათავად-აზნაურო სკო-
ლაში 18 წელიწადი მოღვაწეობდა და სამაგილითო
მასწავლებლათ ითველებოდა. ყველამ კარვათ იცის,
რომ ჩვენ ცხოვრებაში არც ერთი მოღვაწეობა არ
არის ისეთი ძნელი, როგორც საპედაგოგიო ასპარეზი.
პედაგოგების მოღვაწეობა მოვევაგონებს თქმულებას:
არც მწვადი უნდა დაიწვასო და არც შამფური. სწო-
რეთ ამ ცეცხლში არიან საბრალო პედაგოგები, —
პრაქტიკა ერთს თხოულობს და პედაგოგიური მეც-
ნიერება — მეორეს.

განსვენებულმა რაჟდენ ჯაჯანაშვილმა შეადგინა
ბავშებისთვის სახმარებლათ ორი წიგნი: „მეგობარი“
და არითმეტიკული ამოცანები.

ამ თვის სამს, ოთხს და ხუთს თფილისის სათავად-
აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა გუბერნიის თავად-
აზნაურობის საგანგებო კრება. კრებამ პირველ სხდო-
მაზე გაანაწილა რიცხვი თუ რომელ მაზრის თავად-
აზნაურობამ რამდენი წარმომადგენელი უნდა აირჩი-
ოს ბანკისათვის. ყველაზე მეტი ერგო გორის მაზ-
რას — 35, თფილისისას — 15, სიღნაღისას — 15, თე-
ლავისას — 20, ბორჩალოსას — 5 და დუშეთისას — 15.
მეორე სხდომაზე დიდი ლაპარაკის შემდეგ 74 ხმით
წინააღმდეგ 11-ისა გადაწყდა: შემოღებულ იქმნა
თფილისის გუბერნიაში ერობაო.

დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ ერთ-
ხმით გადაწყვიტა, ის ათი პროცენტი საგლენო ფუ-
ლისა, სულ 450,000 მანეთა, რომელიც მისმა წინა-
პრებმა შეწირეს ბანკის დასაარსებლათ და ახლა ბან-
კიდან ისევ უკან უბრუნდებათ, მოხმარდეს დასავლეთ
საქართველოს თავად-აზნაურობის განათლების საქმეს.
ამასთანავე იმავე თავად-აზნაურობამ ერთხმით ამოირ-
ჩია კამისია განათლებული პირებისაგან შედგენილი,
რომელსაც დაავალა შეიმუშავოს პროექტი, რაგვარათ
მოხმარდეს ეს ფული დასავლეთ საქართველოს თა-
ვად-აზნაურობის შვილების განათლებას. კამისიაში
ყოველმა მაზრამ ერთხმით ამოირჩია სამ-სამი წევრი
თავის წარმომადგენლათ: ქუთაისის მაზრამ — თ. კ.
ლორთქიფანიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე და კ. ლოლო-
ბერიძე; შორაპნის მაზრამ — თ. აკ. წერეთელი, გ. ე.
წერეთელი და ა. ი. საყვარელიძე; გურიის მაზრამ —
თ. ნ. ყ. თავდგირიძე, თ. ა. მ. ერისთავი და ნათეცი
ყექილი კერკველია; სენაკის მაზრამ — ნოტარიუსი

ანჯათარიძე, მასწავლებელი ჯორჯიკია და ხოშტარია; ზუგდიდისა — ლ. თ. ლოლუა, ი. მეუნარგია და ექიმი სამსონ თოფურია; რაჭისამ — ექილი თ. ჯათარიძე, ი. კ. ყიფიანი და კვიციანი; ლეჩხუმისამ თ. იასონ გელოვანი, თ. ლ. დადუშკელიანი და თ. ს. გელოვანი. ამ კამისიას დაეწალა აგრეთვე იხმაროს ყოველი ღონისძიება, რომ ბანკიდან მალე მიიღოს თავად-აზნაურობამ ეს კაპიტალი და სახელმწიფო მომგებიან ქალაქებთან აქციოს.

მუხრანის გაყიდვა თ. კ. ი. მუხრან-ბატონის მიერ მტკიცდება. ახლა მას განუზრახავს გაყიდოს კიდევ ერთი თავისი დიდი სახლი, რომელიც გოლოვანის პროსპექტზეა. ამის შესახებ ერთ ადგილობრივ კაპიტალისტთან მოლაპარაკება უკვე დაუწყია.

ოფიციალური ცნობებიდან ჩანს, რომ ქუთაისის და თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაზე ამ წამათ დარჩენილა 146 ათასი მანეთი მიწის გადასახადი გადაუხდელი, ხოლო ამას გარდა წინანდელი „ნედლიმკაც“ 600 ათასი მანეთი ყოფილა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ნაძალადევის უბანში და ნავთლულში იჯარით აღარ გასცეს ადგილები, გარდა იმისა, რაც უკვე გაიცა. იჯარით გასაცემი ადგილების გეგმა უნდა გაკეთდეს და თითო ნაჭერი მიწა იქნება არა უმეტეს 50—100 ოთხკუთხედი საფეხისა.

თფილისის ზოგი თამბაქოს მექარხნეები სამართალში იქმნენ მიცემული იმის გამო, რომ ისინი მცირე-წლოვან ბავშვებს ქირაობენ და დიდ-ხანს ამუშავენ, რაც კანონით აკრძალულია. ახლა „კავკაზის“ სიტყვით, სხვა ობიექტებისთვის მიუმართავეთ მექარხნეებს. ერთ მათგანს — ენფიაჯიანს — შეუგულიანებია მუშები და ამათ გუბერნატორისათვის თხოვნა მიუერთმევიათ, ნება მოგვეცათ ბავშვები დაეხმარათ მუშაობაში ისე, როგორც წინეთო. მარა სადაური დახმარება ეს, როცა 10—14 წლის ბავშვებს იმავე ქარხანაში მთელ 12 საათს ამუშავენ დღეში. აშკარაა, მექარხნეებს მიზანია ბავშვები ისეე აიყვანოს და მათი შრომით ძველებურათ ისარგებლოს.

ის სტუდენტები, რომელნიც, რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლის შეჩერების გამო, თფილისში ჩამოვიდნენ უკანვე გაწვეულ იქმნენ სწავლის გასაგრძელებლათ.

ფოთის საბჭომ დაადგინა: დაარსდეს ფოთში სავაჭრო სასწავლებელი და ამის შესახებ იშუამდგომ-

ლოს, სადაც ჯერ არს. სასწავლებლის შესანახათ ქალაქი გამოიღებს ხუთი ათას მან., დანარჩენი ფული უნდა შედგეს ნაწევარი კაპეციან გადასახადების და ბაზინის დახმარებისაგან.

„კეკელის“ კორესპონდენციები.

ბათომი. ჩვენ ხელში გვაქვს პატარა წიგნაკი შემდეგი სათაურით: შემოსავალ-გასავალის ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასწავლებლის ბათომში 1893 წლიდან მოკიდებული 1899 წლის 1 იანვრამდის შედგენილი ხსენებულ სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის მერ“. მომილოცნია, მკითხველო, რომ ველიოსეთ ამ ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელსაც მოველოდით ეს ოთხი წელიწადია. აბა, დაეხდეთ ამ ხუთი წლის და ნახევრის ანგარიშს, რას გვეტყვის იგი. ჯერ წინასიტყვაობაში სამზრუნველო კომიტეტის წევრები ერთი მეორეს ასხამენ ქებათა-ქებას, ერთი მეორეს უკმევენ გუნდრუკს: ამა-და-ამ წევრის წინადადებით ამოიჩხა ესა და ეს წევრი კომიტეტის თამჯდომარეთო და სხვა. შემდეგ ანგარიშს აქვს ჩართული შემდეგი ფრაზა: „feci, quod potui“. (ქენი, რაც შეეძლო...), რომელიც ამ შემთხვევაში ცოტა სხვანაირათ უნდა გადაითარგმნოს... ამას თავის გასამართლებელი საბუთებიც აქვს. კომიტეტი ამბობს: „სასურველი იყო, რომ დამთავრებული სკოლის შენობა ეპისკოპოსს ეკურთხებინა და რადგანაც ეპისკოპოსის მოწვევა არ მოხერხდა მაშინ, ე. ი. სასწავლებლის განხნის დროს, ამისათვის სკოლის კურთხევა გადიდვა 15 ოქტომბრისათვის, როდესაც ეპისკოპოსიც მობრძანდა ბათუმში ქართული ეკლესიის საძირკელის ჩასაყრელათ. სწავლა დაიწყო ახალ შენობაში 10 ენკენისთვის, სასწავლებელი აკურთხა ყოვლად სამღვდელო გრიგოლმა 15 ოქტომბერს 1895 წ.“ სკოლის ანგარიშში წერია, რომ ეპისკოპოსის მოწვევა კრებულთურთ და სკოლის კურთხევა ასი მანეთი დაჯდაო. ანგარიშში წერია, რომ 1898 წ: გრ. ეოლსკისაგან სკოლას ვალათ აუღია სხვათა შორის 15 მანეთი და მიხ. ბეთანიშვილს კი იმავე დროს მართებია სკოლის 66 მანეთი, რომელიც გაუსწორებია 1899 წლის იანვარში, როგორც ანგარიშიდან ჩანს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში გ. ბეთანიშვილი სკოლის ნიეთიერ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და თუ მაზე რამე ირიცხებოდა სკოლისა, ის სამი, ოთხი წლის წინ აღებული ვალი ყოფილა. არ ვიცით, ეს როგორი წეს-რიგი არის იმისთანა საქმეში, როგორიც არის

ღარიბი სკოლის ნივთიერი მდგომარეობა. ჩვენ აქ მხოლოდ ამ გარემოებას მივაქციეთ მკითხველის ყურადღება. დანარჩენი ამ ანგარიშისა არ ვიცით, როგორია, რადგან არა გვაქვს ხელში საბუთები მრთელი ანგარიშის შესამოწმებლათ. ამას კი დავძენთ, რომ ესეც საკმარისია, რომ დაფასოს კაცმა ამ კომიტეტის სუსტი მზრუნველობა სკოლისადმი.

ვაჩუღი.

საჩხუკე. ეს ის საჩხერე გახლავთ, სადაც ცხოვრობდნენ ჩვენი „ძველთაგან ძველი არა ახალი“ დიდკაცობა წერეთელთა გვარეულობისა, რომელნიც შევნიერი მიწა-წყლით, ადგილ-მამულით, გარეშე ყმებით და შინა ყმებით იყვენ დაჯილდოვებულნი. ახლა ყოველივემ ფერი იცვალა: თავადობა გაღარიბდა, ღვინო აღარ მოვიდა, არც პური და სიმინდი იმდენი, რამდენიც მისთვის საჭირო იყო და ამიტომ ყველამ ჩამოჰყარა ყურები. თუ ვისმე რამე გადაურჩენია და თავის მემკვდრეთათვის დაუტოვებია, ისეც თავისი ნაქონი ხმალი, რომელსაც აქ უფრო ლეკურს ეძახიან და რომლის ხმარება ისე აქვთ გავრცელებული, რომ შიმშილით კუჭი ეწოდესთ, ხმალს მაინც მიაკანწიალებენ და უსაქმურათ დაეხეტებიან. სწორეთ სასაცილოა, როდესაც ეს ამოდენა უსაქმური ყმაწვილ-კაცობა დღითი-დღე სოფელ-სოფელ და საჩხერის ბაზარში დახეტილობს, იქნება საჭმელ-სასმელს შევხედვ სადმე და ერთი ღოთიანათ გამოვებრუშოვო. აქ ყოველ კვირაობით დიდ ძალი ხალხი შემოდის ხოლმე ახლო-მახლო სოფლებიდან და ჭიათურიდან იმათში უფრო მეტი ნაწილი ჩაღანდრებია, ვისაც მიწა წყალი დაუკარგავს და სრულიად ბოგანოთ გადაქცეულა, ისინი სასოწარკვეთილები მად-მოდ-ან და გულ-ამოსკენილი მღერიან შეზარხოშებული ხმით: „სანამ მქონდა ფულები, ეჭამე მახრაკულები, როცა გამომეღია, ჩმოვყარე ყურები“, ან კიდევ: „თავშარო მცემო, ჭკუა არა მქვს, ფეხებში მცემო ფული არა მქვსო“. ვისაც კი მოწყურებია და გახსნია ცხოვრების მადა ისინი დღე და ღამ ფაცა-ფუცში არიან და უნდათ, რაც შეიძლება, მეტი მოხვეჭონ და მეტი შეიძინონ. პირველათ რომ „სუდობა“ შემოვიდა საჩხერეში, მაშინვე გამოჩნდნენ ცრუ ადვოკატები. ვიაც კი ქალაქში ერთი ორი თვე გაეთია, „პოვრათ“ (მზარეულათ) ან ლაქიათ და ორი ღერი რუსული ესწავლა, იმას დიდი ნასწავლი ეგონა თავისი თავი, პირველ ადვოკატათ მოჰქონდა თავი და საწყალ ხალხს ატყუებდნენ; ბევრი მათგანი მალე დიდი მემამულე შეიქნა და ახლა ისე არიან ისინი, როგორც ძველებური აქაური წერეთლები, დოვლათი ამათ დარჩათო, ამბობს ხალხი. ამ ახალ

გამდიდრებულებს გარდა აქ შეხედებით სოფლებიდან შემოსული ახალ-მოდის ვაჭრებს, როგორც ქართველებს ისე სომხებს. ნამეტანი სიცოცხლე და შნო საჩხერეს მომავალი რკინის გზის შტოს გაყვანის იმედს მიუტია. სრული იმედთ შეცქერიან იქავე ახლო მდებარე მთების სიმდიდრესა. საჩხერეში ბევრი სხვადა-სხვა დაწესებულებანი არიან, მათ შორის მომრიგებელი მოსამართლე, მაგრამ აქ, რადგან „აბლაკატი“ ისეა, რომ ჯოხი მოიქნია, იმას მოხედება, ამიტომ „მორიგებით“ გათავება საქმისა არ შეიძლება. არის აქ მომრიგებელი შუამავალი (პოსრედნიკი), მაგრამ მორიგებით აქაც ნაკლებათ არის საქმე. ამ ორ დაწესებულებაში, როცა უნდა შებრძანდეთ, ყოველთვის დიდძალი ხალხია. აქ ისე არ ემორჩილებიან ერთმანეთს, როგორც, მაგალითათ ქართლში. ქართლის გლეხი ცოტაზე კი არა, ხან-და-ხან დიდ საქმეზედაც არ გამოუდგება საჩივარს, რადგან არ იცის არც გზა და კიდევაც ეშინია, მე ვინ მომავებიებს საქმეს, იმათთან რას გაეხდებოდა; აქაური გლეხი კი მცოდნეა კანონის, თუ თვითონ არ იცის ეს „ადვოკატები“ ხომ აქ არიან, მივა, ჰკითხავს-გამოკითხავს საქმეს. აქ ხშირათ მებატონე და გლეხი ერთ ქათმის საღირალზე ჩივიან ხოლმე და არც ისე იაფათ უჯდებათ ეს. ეს იმითი უნდა აიხსნას, რომ აქაურ გლეხს უფრო გარკვევით აქვს წარმოდგენილი, ვის რა ეკუთვნის, რის მოვალეა ის ბატონის, მღვდლის, მეზობლის და აზნაურისა. ამიტომ ჰატარა საქმე ხშირათ დიდათ გადაიქცევა ხოლმე... არის აქ სასოფლო, სოფლის ხარჯით დაქირავებული ექიმი თავისი ფერშლებით და საწოლებით, მაგრამ, თუ ავთმყოფი იქამდის მიიყვანეთ, შეიძლება ათ საათზე ეღირსოთ ექიმის კარის გაღებას. არის აქ საკუთარი პოლიცია, მაგრამ ქალაქის სისუფთავეს და სურსათის სისაღეს სრულებით ყურს არ უვდებს. არის სამკითხველო, მაგრამ თუ ვინმე დაინახეს შიგ მკითხველი, შეცვინდებიან აქაური რაინდები და ორ კაპეიკანის მწერლები და ერთ ვაი უშველიებელს და დაეღარაბას დააწვევენ. ის აღარ იცინა ამ მკლავაძეების მახარებმა, რომ სამკითხველოეში კი არ უნდა ჩხუბი, არამედ სამიკიტნოში. არსებობს აქ ორკლასიანი სამაგალითო სამრეელო სკოლა, სადაც, როცა მიბრძანდება ხოლმე ჩვენი საზოგადო მოღვაწე მეთვალყურე (ისიც წელიწადში ან ერთხელ, ან და სულ არა), მაშინაც არა კითხულობს, აქ ქართული ენა ისწავლება თუ არაო, თუმცა პროგრამის ძალით პირველი ადგილი ქართულს უნდა ეკავოს. აქვე უნდა შევნიშნოთ ის მოვლენა, რომ ამ სამოთხი წელიწადში ზემო იმერეთში ბევრი სკოლა დაიხურა, ხოლო მომატებით კი არ მომატებია. ჩვენ აქ ჩამოვთვლით ისეთ სოფლებს, სადაც სკოლები

პროცესი

არსებობდნ და ახლა აღარ არიან, თუმცა სოფლები დიდა და სურვილიც აქეთ: ითხისი, სვერი, არგეთი, მღვიმევი და სხ. ამის მიზეზს, იმედია აგვიხსნის ვისიც ჯერ არს... არსებობს დიდხანია სამინისტრო სკოლა, რომელსაც და რომლის მასწავლებელს უფრო ბევრი ხელის შემშლელი ჰყავს და შარშანწინ ხომ თვით სკოლის შენობაც გადაბუგეს, იმ იმედით რომ ხალხი სახლს ვეღარ ააშენებს, ჩვენ ყარამანსაც გავდევნით აქედან და ნამდვილ სადუქნე ადგილსაც ჩაივადებთ ხელშიო, მაგრამ ბედმა უმტყუნათ და ისეთი სახლები წამოჭიმა საზოგადოებას ისე იმ ადგილზე, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა და ახლა შიგ გლახისა და ყოველი წოდების ქალი ღვაჯი ერთათ სწავლობს. ასეთ პატარასკოლასაც შეძლება სიყვარულის დამსახურება... ამ სკოლას გლახები იწინებენ, თავადობა არ ეწყება. თავად-აზნაურობამაც მოინდომა ქალების სკოლის დაარსება. ამ ექვსიწლის წინეთ საჩხერეში და ჭიათურაში კარგათ ცნობილია კნენინამ რამდენიმე პიკნიკი და ლატარია გამართა მომავალი სკოლის სასარგებლოთ. კარგა ძალი ფულიც შეიკრიბა, როგორც გვახსოვს, მაგრამ მასუკან აღარც ამ სკოლაზე ისმის რამე და აღარც ფულებზე. ურიგო არ იქნება, ვისაც ეს ფულები და ამ სკოლის ბედ-იღბალი ახარია საზოგადოებას შეატყობიებდეს საქმის ვითარებას...

ქვემოთ.

სოფ. გუფსში. წელს კარგი მოსავალი დაუდგა აბრეშუქს და ფასმაც კარგათ აიწია. ეს ძლიერ სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ლეინის მოსავალმა იკლო და სიმინდიც არ გადის კარგ ფასში. გლახი კაცის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, გლახს აღარ გაუჭირდება წელს არც ფოშტის და არც სახელმწიფო ფულის გადახდა და თავისი უსაჭიროესი მოთხოვნების დაკმაყოფილება. თავად-აზნაურობამაც გვერდი არ აუარა ამ პატიოსან შრომას და აჯობა თავის სიზმაცეს და სიამაყეს. მათაც კარგი მოსავალი დაუდგათ. მაგრამ რას მოახმარა ეს პატიოსანი შრომით შეძენილი ფული? უსაფუძვლო დროს ტარებას და ქეიფს.

გაიმართა ლატარიები: კულაშში, ჯინაშიში, საჭილაოში და ჭავანში.

გამონახეს ძველი ყოველად გამოუსადეგარი ნივთები... უთვალო ბეჭედი — ძველი ფასონის სამაჯური და სხვა. ის ნივთები, რომლებიც თავის პატრონისთვის გამოუსადეგარი არიან, ერთი ათათ გადიან ლატარიაში.

ახლა უნდა წარმოიდგინოთ სურათი ამ ლატარიებისა, მთელი ახალგაზრდა აქ იყრის თავს; გაი-

მართება სმა, ქეიფი, მათ ლაზღანდარობას არაღიეს საზღვარი და, რასაკვირველია, ამას ცუდი გავლენა აქვს ნორჩ და გრძნობიერ მოზარდებზე. სამწუხაროა ის რომ ამისთანა ლატარიებმა ნამდვილი ვალდებულებების ხასიათი მიიღეს. პირველათ, რასაკვირველია, ის გაჩნდა კულაშში მაღალ წოდების საზოგადოებაში, რომელმაც არ იცის დრო რას მოანდომოს, აქედან ჭავანში გადავიდა, მერმე საჭილაოში, ხონში და ბოლოს ჯინაშიშიც. ეს სენი ყველა ამ სოფლებს მოედვა და საწყალი გლახიკაცის კარამდისაც მიადწია.

ერთ ლატარიაზე იყიდება მეორე ლატარიის ბილეთები, თამაშობის დროს ძალდატანებით ხელს აწერიებენ ყველას ახალგაზრდა, ნორჩი და ლამაზი ქალიშვილები, ამისთანაგებს ხელისმომწერი უარს ვერ ეუბნება და უსაფუძვლოთ აძლევს ზოგჯერ თავის უკანასკნელ გროშს. სასურველია ამისთანა უწესოებას ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს.

ხონში კიდევაც აუკრძალეს ერთ ალაგას. ნუ თუ რაც ხონში აკრძალულია, კულაშში და სხვა ახლო სოფლებში შესაძლებელია?!

დამსწრეთაგანი.

სოფ. აკეთი. (გუჩია). 19 თებერვალს დამის 10 საათზე აქ სამწუხარო ამბავი მოხდა. აქაურ ორ კლასიან სკოლას დაეცენ თავზე აქაური თავზე ხელ-ადებული დამის წაინდები!.. ბოროტ-გამზნასკველი შეპარულა პიკნელ დაწყებითი სკოლის ოთახში და ამოჭყატება კარებს დიდი კეტით, სოფო დანაჩენები გარეთ ყოფილან!.. ამ დროს სკოლის ზედამხედველს ბნ აკავი გეგეპტორას გამოუგლია „გარდოროში“, სდაც პატრუქი ანთებული ყოფილან, მისალოგება თუ არა ოთახს, სდაც აგზნავი ყოფილან დამლეული კანი ნასკრათ ღია შეუმჩნევია და უთქიქია, მიგსურავო, მარა სწორეთ ამ დროს მის პირდაპირ წამოსულა დიდი კეტი. ბ-ნი გეგეპტორი იმდენზე ახლო ყოფილან, რომ სტეპის კეტში ცალი სკლით, ხოლო მეორე სკლი ჩაუვლია ფართე ჩხისის სასკლოში და უევირია; ევირიაზე ორ მასწავლებლებს ისე შეშინებიათ, რომ, ნაცვლათ ამხანაგის მისმაკებისა, მეზობლებში გაქცეულან, მოგეპეკეთო!.. ბოროტ-გამზნასკველს შეშინებია, ვაკატობა წასდენის და გაქცევის ცდილან, მარა გეგეპტორის ის გამოუთრეკია ბნელი ოთახის კარებიდან და დაუსასამს თავ-პირ-ასკველი და ჩხის-აკამიწე-ბული ემაწვილი კაცი, რომელიც სკლს კისეკში ავლებდა. ცოტა ბრძოლის შემდეგ, რაკი გეგეპტორს მომხმარე აჩვენან არ გამოუჩნდა ამ ახალ-მოდის წაინდმა დასწად თავი გეგეპტორს და შეტრცხენილმა მოჭკურტრცლან. ევირიაზე მიტვირდენ მეზობლები, მამასასლისსაც შეატყობინეს, ბოროტ-მომქმედნი თუ დანამდვილებით არა მიგვანებით მინც იცნეს!.. აქაურმა ადმინისტრაციამ აჩავითარე ყუ-

წადლებს ან მიაქცის ამისთანა წთულ და დიდ-მნიშვნე-
ლოვან საქმეს, როგორც ანის სკოლა და მისი თავზე
დაცემა. მასწავლებლებმა თხოვნა მიახრეს გუბერნატორს
და დირექტორს; ამისთანავე დაიბრეს მშობლები შეგირ-
დებისა და შემოსხენებუდი მსერეუნი მოქმედება უბეს!..
ასეა ვი მობრძანდა მამასხლისიც და კიდევაც დაფრუ-
რდა, - დაიბარა ნაცვალნი და თავისი პარტია, 1) განმე-
რალეე ოთხში, დანაკა და დავსაზნა ხალხში!..

23 თებერვალს მიიღო მამასხლისმა მზრის უფ-
როსის ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ შეეკრიბა სასოგა-
დოებს და დამნაშავე აღმოეჩინა. 24 თებერვალს სასო-
გადოებამ თავი მოიყარა და ძლიერ გულ-მოდგინეთაც
შეუდგენ საქმეს, მარა გადაბირებულმა პირებმა ანც ლა-
პარაკი აცალეს და ანც სიტყვის ნება მისცეს, ყოველ
დონეს ხმარობდენ მამასხლისი და მისი დამქსები, რომ
ამ საქმისთვის ყურადღება ან მიექციათ და სულ უბრა-
ლოთ ჩაეტარებინათ!.. სალხი გმინავდა, დედავდა და
რაკი შეატყეო — საქმეს ჩვენ ნებაზე არავინ ვაგნებებსო
დადგინა შემდეგი. „დღეიდან შეგვიჩვენებს სასწავლებლის
მოქმედება, აქუჩ პოლიციას არავითარ პასუხს ან ვაძლე-
ვთ, რადგან იგი სასოგადოების წინააღმდეგ იჭრება და
ვითხოვთ მოგვიგითხოს უმაღლესმა მთავრობამ — მოვიდეს
ადგილობრივ დირექტორს და მზრის უფროსი — გამო-
იკვლიონ ჩვენი ამ გვარი მდგომარეობა და მამინ ჩვენ
დამნაშავესაც მივცემთ და ჩვენც ჩვენ უფლებებს მოვი-
თხოვთ“, აგრეთვე თხოვეს სამივე მასწავლებლებს მი-
რის — მიერ მოლაპარაკება დირექტორთან ქუთაისში — იმა-
თაც აღუთქვეს და სასოგადოება დაიშალა. მხოლოდ მა-
მასხლისი და მისი ძეგ-კულები სასოგადოების ამ მო-
ულოდნელ პასუხზე სასტათ დარჩენ!.. მასწავლებლები
მეორე დღეს გაემგზავრენ ქუთაისში, დაბრუნდებიან თუ
არა მასწავლებლები ისევ აკეთში არავინ იცის, რადგანაც,
ის მასწავლებელი, რომელმაც ან იცის რა საათში დაერე-
მიან თავზე, ან რომლის ვალსავენ, ძნელათ თუ იქ კიდევ
დაბრუნდება!..

28 თებერვალს მობრძანდა მზრის უფროსი ბოქა-
ულოთ და შეჭყარა სასოგადოება. აუხსნა ხალხს თუ რა
დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას, მის თავზე დაცემას;
მან მიხდა მიერ მოთხოვა სასოგადოებას დამნაშავე ამ
საზიზღარ და მსერეურ საქმეში. (ეს სიტყვები შეენივრათ
და ადგილი ვასაგები ერთი განუმატრა სასოგადოებას ბნმა
გ. ქიქოძემ, რომელიც მადლობის დარსია). სასოგადოება
შედა, შეყოყმანდა; უნდა და დამნაშავე მოეჩინათ და

1) მამასხლისის აქ თავისი პარტია ჭყავს, რომელიც
მასწავლებლების წინააღმდეგ მოქმედებს. დღეს მათ სულ-
წილი აქვთ გუბერნატორისაგან ჩამოკრთმული, თუ
მასწავლებლებს მათი მოქმედებით რამე შეემთხვა, ციმბი-
რში იქნებიან გავსაზილი. აკტ.

მიერთ, მარა რადაც აბრკოლებდა, თითქოს ვიღაც
ემინათო ქურდულათ აქეთ-იქით იყურებოდენ... ბოლომ-
თხოვეს ცალ ცალეე შეჭკითხებოდენ. საიდუმლოთ, სასო-
გადოებამ იქუჩ თავად-ახსნურობას დასდო ბრალე — აქე-
დან ანც ერთი მასწავლებელი ან წასულა გაუღასავიო, —
ერთი შეგირდი ვაკლასეს შიგ ვლასში, სწავლის დროს,
მეორე ვლასეს, მესამე მოწამლეს, მეოთხეს „პროვოკორი“
შეუდგინეს და მენუთეს ასეა სტუმეს, ესეც ან ვამარეს და
თავზე დაეტენ — ყველა ამას ჩვენ მათ და ერთ ქალს (გნაყნა)
ვაბრკლებთა!.. (ან შეგვიძლია სიმრთელი ან ვთქვათ, რომ
თავად-ახსნურობაშიაც ურევიან ისეთნი, რომელნიც კე-
თილ-სინიდიისიერნი და სკოლის მომხრენი არიან). შემ-
დეგ ამ ლაპარაკისა მზრის უფროსმა მოითხოვა ექვსი
კაცი, გამოჭკითხა მათ საიდუმლოთ საქმის ვითარება ცალ-
ცალეე და წაბრძანდა!.. სასოგადოება დაიშალა. შემდეგ
საქმე დაგვანახვეს!..

მკვიდრი.

კვირიდან კვირამდე


ადგილის სიძვირე — მგლის თავზე სახა-
რება — ხალხ თაობის სკოლა — თავადი ან
ვიყო!.. — უსინათლო გამგეობა.

ეს ჩვენი „კვირიდან კვირამდე“ ძალიან გაიშვიათ-
და. მარა რას იზამ, ძალა აღმართს ხნავსო, იტყვიან,
თერა დაღმართს ხომ მოხნავს და მოხნავს. მართა-
ლია „კვირიდან კვირამდე“ დაღმართშია, მარა პირი-
კი აღმართისაკენ აქვს მიქცეული, უნდა კიდევაც
ავიდეს, ზედ წვეროზე წამოსკუპდეს და შემბორო-
კველი კ- ბევრი, ძალიან ბევრია. მგონი იმდენი
უფროსი ქვეყანაზე არაუის ჰყავს, რამდენიც ამ პა-
წაწკინტელა ბავშს. ვინ გინდა რომ მას არ უბღვერ-
დეს, არ აშინებდეს, თითს არ უქნეოდეს აი, თუნდა
ავილოთ, მკითხველი. ერთი მათგანი მწერს: „კვა-
ლი“ კაი საკითხავი იქნებოდა, „კვირიდან კვირამდე“
რომ არ იყოს შიგო! მეორე: თქვენი „კვირიდან კვი-
რამდე“ ყბაში ჩემი მტერი ჩავარდაო.. მესამე: ში-
ნაურ ამბებმა მეც თავი მომაბიჯრა, ხან-და ხან „ბის-
მარკის“ ამბავიც გვამცნეო და ასე რამდენი მკითხვე-
ლია, იმდენი გემ. აწნებაა. ამათში უფლაზე უფრო სა-
ყურადღებოთ ეს „ბისმარკის“ გემოვნება ჩავთვალე
და ყოველ ორ კვირაში ამასაც ანგარიშს ვ წევ. ხომ
იცით მე რა „ბისმარკზე“ ელაპარაკობ? ძველ კაცე-
ბში უცხოეთს დღესაც ბისმარკს უწოდებენ და, აი,
სწორეთ ასეთ ბისმარკზე მოკახსენებთ. მარა ხათაბა-
ლა რამ ყოფილა ეს ადამიანი. მართალია ის ძალიან
გაუტანელი იყო გერმანიაში, მარა ამ ჩვენ „კვირი-

საქართველოს
საბჭოთაო



გ უ ლ უ ო რ ყ ვ ი ლ მ ბ ა.



ა. ბ. ტ. ა.

დან კვირამდესაც“ თუ არ დაინდობდა აღარ გვეგონა. და, აი, როცა ის ამ ადგილას მობრძანდება — ეს უკანასკნელი გარეთ გაბრძანდება... დიახ, ადგილი მართო რაჭაში კი არ არის მამა-სისხლათ, ის ყოველგან დაძვირდა, დაძვირდა ამ ჩვენ თფილისშიაც...

* *

და რაღა მართო ადგილი, კაცებიც დაძვირდენ,

ისინიც სანთლით საძებარი გახდენ, რასაკვირველია, კაცურ-კაცს მოგახსენებთ, თვარა კაცუნები, მოგვცათ სიცოცხლე, ყოველგან ბლომათ იყოს. და წარმოადგინეთ, რომ ამათაც კი შეძლებიათ თავისაკენ ეისმეს ყურადღების მიქცევა. აი, მაგ. გურიის ერთ კუნჭულს, სოფ. აკეთს, შემოსევიან ეს თოფ-ლეკურიანი ქონდრის ხალხი და, ლამის არის, სოფელი ერთ

თინათ ააფორიაქონ. ესენი ყაჩაღებია — არც ყაჩაღებია, რანდებია — არც რანდთ გენან, მაშ რა რჯულის და რა სარწმუნოების არიან ეს ვაჟ-ბატონები, რომ ასე დაუბრკელებიათ სკოლა, მასწავლებლები, ხალხი — ყველაფერი. და ან ნეტავ, ეს სკოლა და ისიც არ კლასიანი — ამ თავზე-ხელ აღებულთათვის ააშენეს, მათ საბუღრათ გახადეს? ეს მგონი პირველი მაგალითია, თავის სოფლისთვის კაცს თავი მოეჭრას, როგორც ეს აკეთს უქნეს. მართალია ყაჩაღობა გურულებისთვის ძველი ამბავია, მარა სკოლაზე თავს დასხმა გურულის არასოდეს არ უკადრებია და სწავლის პატივისცემა ყაჩაღობაშიაც არ დაეწეებია. ახლა? ახლა ჰკითხეთ აკეთის გმირთ, ამათ ეს გურულების წმინდა გრძნობა ფეხ-ქვეშ გაუგდიათ და ზედ მკლავადებური ბუქნა გაუმართავთ. და ამასთანავე იმასაც ნუ დაიფიქრებთ, რომ იქ არსებობს „გურულის ბიბლიოთეკა“, აგერ ცხრა წელიწადია, მგონი. მარა რა გამოვიდა, მგელს სახარებას უკითხავდნ და თვლები ტყისკენ ჰქონდა — სწორეთ ამათხეა ნათქვამი.

* *

ერთი ასეთი სახარება ამ დღეებში თფილისის მექარხნეებს წაუკითხეს, დიდები ხომ თქვენია და თქვენი, ბავშვებს მაინც ნულარ აძრობთ ტყავსო. და მერე იცით, რა ბავშვებს? ბავშვები კი არა ბაღლებია, 8 წლიდან დაწყებული 12 წლამდე. აი, ამათ აუშავებენ თურმე თამბაქოს სუნით გაქლენთილ ფაბრიკაში მთელ 12 საათს! აი, სად ყოფილა ჩვენი ახალი თაობის სკოლა, მისი ზნეობის და გონების ამბილღებელი! მარა უკაცრავათ, ეს ასე არ იცნეს, ვისიც ჯერ არს, და ამ ახირებულ აღმზრდელთაც შეგირდების მიღება აუკრძალეს. აღმზრდელნი დაუაჯურდნ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ბოლოს ხერხს მიმართეს: მოდი თვით მუშებმა ითხოვონ ბავშვების მაგიერ, 12 საათის მუშაობა ჩვენ გვრგებს და არა გვწყენსო! ითქვა-ასრულდა. თხოვნა გაგზავნეს და უტდიან, საცა ცხერებს ისევ საკრეჭათ დაგვიბრუნებნო... და თუ ამას ვერ ელირსენ, დარჩება წყალ-წოდებულის.. ბავშვები, მექარხნის ახრით, რასაკვირველია.

* *

ეს აზრი ძალიანი საქმე ყოფილა — მართალი გითხრა. ის სათითაოთ ყველას მოეპოება, მარა ერთათ თავ-მოყრილი იშვიათი სანახავია. და, აი, თფილისის თავდა-აზნაურობის კრებაზე ეს მიფანტულ-მოფანტული აზრი ერთმანეთს შეხედდნ და აქედან ერთი სათავად-აზნაურო აზრი წარმოდგა. განსაკუთრებით საყურადღებოა აზრი ერობის შესახებ. — მე რომ გლენხი ვიყო, თქვა ერთმა — მაშინ მოგეცათ სიცოცხლე ერობას ჩავაფრინდებოდი, მარა

რავქნა ახლა, როცა ღმერთმა თავდათ დაგვადო ერობა გლენხს მოუკლებს გადასახადს, ჩვენ ვერ მოგვრებოდა და განა ეს სანატრელია? ჩვენ „მოსამსახურე წოდება“ ვართ, მამა ჩვენთ უმსახურიათ სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე, აქავე მსახურობენ ჩვენი შვილები. მაშასადამე, ნუ თუ ვინმე გაბედავს და ჩვენ ახალ გადასახადებს დაგვადებს, არა ამას ვერ ავიტანთო! დაბოლოვა განათლებულმა ორატორმა („ინტელიგენტი“). ასე და ამა პირსა ზედა. სინათლე და უფლება გლენხის საქმეა, ჩვენ ეს რაში გვეჭირიაო! ამ „თავადურ აზრმა“ ასე გასინჯეთ, მომხრეებიც კი იშოვა, მართალია ცოტა, მარა მაინც მომხრეები, სულ ნაირ-ნაირი თავადები. სამაგიეროთ დიდ უმრავლესობამ უარ ჰყო ის, ეს არ არის თავდა-აზნაურობის აზრიო და 74 ხმით წინააღმდეგ 11-ისა გადაწყვიტა: ჩვენც გვეჭირება მეტი სინათლე და მეტი უფლებაო...

* *

მეტი სინათლე რომ კაი საქონელია — ეს სადავო აღარ უნდა იყოს, მაგრამ თფილისის გამგეობას ის დიდ თავ-სახეთქ კითხვათ გადაუქცევია. აგერ რამდენინანია ყვირიან, გამგეობა ვერ უწყევს სათანადო ზედა მხედველობას ქალაქის ზოგ დაწესებულებათა დაეთრებსო. და მერე რა გამოვიდა? გამგეობა შეიკრიბება, იტყვის საქიროა კანტროლიო და დაიშლება, შეიკრიბება, იტყვის, დაიშლება და ასე სულ ეს ნახევარი წელია. და მერე ცოტა ფულია უანგარიშოთ ვილაკების ხელში მოქცეული? მარტო საყასბოსადან შემოდის 57 ათასზე მეტი და ამას ავქალის წყლის სახელოსნოებს და კანტორებს თუ მიუმატებთ — კაი გვარიანი ჯამი შედგება. და, აი, ეს ჯამი ზოგიერთათვის მართლა ჯამათ გადაქცეულა და შიგ თავისუფლათ თავ-თავის ლუკმას ეძებენ. გამგეობაც ამას ჰქვია, მარა არა ქალაქის საქმეების, არამედ საკუთარი ჯიბეების...



მ ე გ ო ბ ა რ ს.

ნამყო, გამქრალი სამუდმოთ,
 ნეტარ სსენების დიქსია
 და მისი ავათ სსენებს
 აბა რა საკადრისია?
 ხალხო მის ბამეა ჩვენ დროში



ვისთვის რა საზარტისა?...
 ვინაჲ ცხოვრება შეიგნო
 დღეს — მომავალიც მისა!..
 უკან ნაბიჯის კეთება —
 ეს მხოლოდ ვიბს წესია!
 მაგრამ სიბრძნით წინ-წასვლაც
 დგომასე უარესია!..
 რომ სუდავთ, ჩვენთვის სიმწარე
 უოკელ-მხრით დანაკვეთია..
 მაშ, ვინათ, სად დგას შარბთი,
 სად შინაში ჩანაღესია!..
 თქმულა: „სინქრით სოფელი
 აზვის მოუტანია“. —
 მაშ, დაგვიჩვენებ ვი გვიმართებს
 ჩვენ უკვლას, ჩემო ძმისა!..
 სადღე-სვალთა რომ არ ვართ,
 დღეს სულ სხვა დრო და ყამია:
 შექნათლის კარი იღება
 იქ, სადღე ბნელი ღამია!..
 მაგრამ, ეჭ! მარტო ღაქლქი
 სუუველს გუადვილებს!..
 ვისაც საქმე სურს გუფითა,
 მას რაღა „შავდილება?“
 მთ, მეგობრობა, შევეერთდეთ,
 თუ გუფით გეწადილება,
 შევიგნოთ, რომ დღეს სმლის ნაცვლათ
 ჭრის — სწავლა გამომდის!..
 დ თომასილი.




რუსეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვა.

ბატონოებო! ამ ყამათ სოფლის მეურნეობის და
 ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა ვრება, რომ-
 ლის საგანის პურის ვაჭრობის გაწეს-როება. შირველ მარტს
 ფინანსთა მინისტრმა ვიტყვი ამ ვრებაზე ერთი შესანი-
 შნავი სიტყვა წარმოთქვა, რომლის რამდენიმე ადგილს
 აქვე მოვიყვანო: „მარტო ჩვენი სასოფლო მეურნეობისა
 მდგომარეობს არა საქრთა შორისა. ისარში, არამედ თვით
 ჩვენსვე სასოფლოში, ჩვენივე მოთხოვნების გამრავ-
 ლებაში, სამეურნეო ნაწარმობების და შრომის შინაგანი
 ბაზრის გაფართოებაში. რაც შეეხება ვრელიტს სოფლის მე-
 ურნეობისათვის — მისი საჭიროება დიდაა, მაგრამ სასოფლო-
 წიფლო ბანკიდან მისი დაქმყოფილება არ შემოიღია. ეს ვერძო
 ბანკების საქმეა და მე შემოიღია მხოლოდ ამ გზასზე
 დახმარება ადგილქვით. მფარველობითი სისტემის (შე-
 ტქმედიონის) უკანასკნელი დანიშნულება, სასაღმრ-
 მეურნეობა დამოუკიდებლათ განადგოს უცხოეთის ბაზრის

და შრომისაგან. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ
 დროებითი მნიშვნელობა, სასამ თავის მიზანს მიაღწე-
 დეს. რასაკვირველია, ბევრ დაბტკრესებულ პირს ეს
 დროებითი საშუალება სურს სამუდამოთ შეინახოს და
 თავის კერძო ინტერესისთვის რაც შეიძლება დიდ-
 ხანს გამოაყენოს. ხან-და-ხან ეს თავის ინტერესის მა-
 ძიებელი პატრიოტობის პირბადით გამოდიან და
 სხვების თვალის ასახვევით განუვიჩინებ: დაგვაქცია უცხო
 კაპიტალმა, დანიონა ადგილობრივი ხალხი, გაუფლიფა ად-
 ვილობრივი სიმდიდრე და სს. მარა აქედან ნათლათ ისე-
 ღება შევიჩნაღთა ეკონსტრუქტი ინტერესი, რაც ერთიანათ
 ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესს... მფარველობითი
 სისტემა სკოლა ჩვენი ასადგანდა მრეწველობისათვის.
 რამაც უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო. მარა ეს არის
 ძალიან ძვირი სკოლა: ის ტეროთათ აწევს ერის თით-
 ქმის ყველა კლასებს. უოკელი დაბაყოფი ნივითი ძვირათ
 გვიჩის. აი სწორეთ ამიტომას საჭირო, რაც შეიძლება
 ჩქარა ვავიაროთ ეს სკოლა, ჩქარა განვთავისუფლოთ
 ბაყებისაგან, სოფლო ვეკლა ამისთვის აუცილებელია მე-
 ტი კაპიტალის მოზიდვა, მეტი ფუფის დაბანდება. სამ-
 წუნაროთ, ჩვენი საკუთარი კაპიტალი საკმაო არ არის,
 რადგანაც ის აქა იქ უმომაროთ არის შენასული. ამიტომ
 იმულებული ვართ უცხო კაპიტალით ვისარგებლოთ. ეს
 თავის თავათ ცხადია, რომ უცხო საქონლის შემოტანას
 უცხო თანხის შემოტანას სჯობს, რომელიც აქვე ამუშავ-
 ღება და უცხოეთიდან საქონლის ყიდვა, რაზედაც ას მი-
 ლიონობით გავსარჯება, ღარ დაგვიჩნდება. ვიმეორებ
 შროტქმედიონისში თსოფლობს ფართო გზა მივცეთ სა-
 მრეწველო კაპიტალს და ამას უოკელი საშუალებით უნდა
 დავეხმაროთ. დახმარება შეიძლება ტენსიკური სასწავლე-
 ბების დამართვით, სამრეწველო თაონობის შემბორ-
 კავი ზღუდეების დანგრევით და შრომის მდგომარეო-
 ბის გაუმჯობესობით. — და ჩვენც ვნდილობთ შექლები-
 სამებრ აღვსარულოთ ეს. ჩვენ მივდივართ ამ გზით და
 დრმათ დაწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამ გზას
 მივევართ ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებისაგან
 და — შირველ უოკლისა — სოფლის კეთილ დღეობისაგან.
 ერთსელ ვიდევ გმადლობთ“.

მიწათ-მფლობელობა ქიზიყში.

ნამდელი ქიზიყი ეწოდება სიღნაღის მაზრის, რამ-
 დენსამე სოფელს. აი ეს სოფლებიც: ვაქირ-ანავა,
 ბოდბის-ხევი, საქობოს საზოგადოება, მაშნარი,
 ჯუკავანი, ქვემო და ზემო მაჩხანების საზოგადოება,
 მირზანი და ბოდბე-მალარო.
 ამ თავისუფალ ქიზიყს დიდი უფელი ბატონ-
 ყმობისა არ ვანუცლია. ესენი მოვალენი ყოფილან



მხოლოდ ალაზნის ხეობა გაემავრებინათ მტრისაგან და შემოსეულ მტერზე ცხენოსანი ჯარი გამოეყვანათ. თავისუფლება და ლაღობა ამ სოფლებს ბოლომდის შერჩენია და ახლაც საკმაოდ ემჩნევა, თუმცა დროთა ბრუნვას თავისი დაღი დაუსევამს და ამათ თავისუფლობისათვისაც საკმაოდ შეუკვეცნია ფრთები. ქიზიყი ძველთაგან ცნობილია პურის მოსაველით და საქონლის მოშენებით. აქ ძალიან ეტანებიან ხენათესვას და საქონლის მოშენებას. ხენათესვა ახლაც უმთავრეს ცხოვრების წყაროს შეადგენს და საქონლის მოშენებასაც ისევე მისდევენ, თუმც ამ ბოლოს ხანებში ეს თან-და-თან ცოტადედა ზოგი მიწის შემცირების გამო, ზოგი სხვა-და-სხვა მიზეზებით 1). მიწის ნიადაგი ქიზიყში საერთოდ ნოყიერია, თუმცა არც ისე გადაჭარბებით მდიდარია. ალაგ ალაგ შავი ნიადაგია, მომეტებული ნაწილი კი თიხა ნარევი შავი მიწაა. ნიადაგის მხრივ დიდი სხვა-და-სხვაობა არ უნდა იყოს, რის გამოც თითქმის ყველგან ერთი და იგივე მოსავალი იცის. უმთავრესი მნიშვნელობა მოსავლისათვის მაინც ისე ნიადაგზე არ არის დამოკიდებული, როგორც ამინდზე. ამინდი კარგია, მოსავალიც დიდაა, ამინდი ცუდია და მოსავალიც ცოტაა.

აი, ამ გარემოების მიზეზი იყო, რომ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე წლის განმავლობაში ზოგიერთ ქიზიყის სოფლებში (ვაქირ-ანაგაში, მაშნარში, საქობოში) მოსავალი არ მოვიდა და ზოგან კი მოვიდა და ძრიელ მცირე. აქედან აშკარათ ჩანს თუ როგორი მნიშვნელობა აქვს აქ მეურნეობისათვის უწყლობას. უწყლობა უნდა იყოს ერთის მხრით იმის მიზეზი, რომ ქიზიყში სოფლები შეფენილია მარაკანების მთებში, სადაც უფრო წყალი ადვილი საშოვარია და შეჯგუფულია ერთათ დიდი სოფლები. აქ სოფელში 500 კომლზე ნაკლები იშვიათია, მხოლოდ 700—800 კომლი კი ბევრგან.

ქიზიყს თუ თვით ბუნება არ უწყობს ხელს, მოსავალს სათუოდ ხცის და ხშირათ ისე ძუნწობს, რომ შრომას არ უფასებს მუშა კაცს, არც თვით ხალხი ცდილობს რამდენათმე შეებრძოლოს ბუნებას, ბევრი გარემოება თავადან აიციდინოს, ბუნება დაიმორჩილოს და სასარგებლოთ გამოიყენოს ზოგიერთა ბუნების მოვლენაში. ქიზიყში ბატონობს ისევე ადამის დროინდელი, ძველი პატრიარქალური წესი და იარაღი. ქიზიყელი არამც თუ ნიადაგის გალონიერებაზე არასა ფიქრობს, არამედ იმასაც არ ცდილობს დაიცვას ნიადაგი, რამდენათაც ღონე შესწევს, ბუნების ზოგიერთა არა სასარგებლო მო-

ვლენისაგან. ისე უღმობელათ ექცევა ტყეებს და ბუჩქნარებს, რომ რაც კი იყო სადმე სულ ძირიანათ თხრის, რის გამოც, ცას რომ ნამი გაეარდეს, ხელათ ღვართ ექცევა და ეს ღვარი აზვირთებული მიდის სახნავ სათესზე, სახლ-კარზე, ვხო ყორეში და თან მი აქვს არე მარეც. ამ გარემოებამ იქამდის იჩინა თავი, რომ თუ მალე არ ეშველა რამე ახლო მომავალში ზოგიერთ სოფლებს (ბოდბისხევს, საქობოს, ვაქირ-ანაგას და მაშნარს) წვიმიანობაში ნიაველერები მთლათ წალეკენ.

თუმცა სასუქი საკმაოდ ბლომათ მოიპოვება— ნამეტნავათ ქვემო ქიზიყში, სადაც საქონელი ჯერ კიდევ ბლომათ შერჩენია ხალხს, მაგრამ ქიზიყელი მამულს არ აპოხიერებს; ეს იმან არც იცის და არც დაიჯერებს მაგრე ადვილათ. ხშირათ ნავებს და შეენიერ დამზადებულ-დამწვარ სასუქს (საქონლის განავალს) სადმე ხეებში ყრიან, თუმცა იმისი მამული, განოყიერების მომლოდინე, უფრო იქვე ახლოს იყო, ვიდრე ის ხევი, სადაც გადაყრა ოქროების ფასი სასუქი. ან სადმე თავის მამულის ახლოს მთელს სასუქის ზვინებს აყენებს, სადაც ეს სიმდიდრე გამოუყენებლათ, ტყვილა-უბრალოთ ფუჭდება.

რაც ხანი გადის—ნიადაგი ცედება, მიწა მწირდება და ქიზიყელებიც ხენა თესვას ამრავლებენ, უწინ თუ საშუალო ოჯახი 10—15 დღისასა ხნავდა ახლა 20—25 დღიურსა ხნავს, მაგრამ მაინც შემოსავალი ხარჯს ძლივს ჰუარავს, ხშირათ კი ვერც ჰუარავს. საერთოდ რომ ავიღოთ მამული აქ საკმარისი იქნებოდა ხალხის და გვართ, თითო ოჯახზე 30 დღიურზე მეტი თუ არა ნაკლები არ განედებოდათ, რაც საკმარი იქნებოდა გონიერულათ და ევროპიული წესით რომ ხმარობდენ, მაგრამ ცოდნა და გარემოებაც რომ ღელს უწყობდეს ქიზიყელს გონიერულათ და ევროპიულათ მეურნეობის მოწყობა მაინც არ შეუძლია, მას არ შეუძლია მიწა გააპოხიეროს, გააუმჯობესოს და გააშენოს.

ყველა ამის მიზეზი განხლავს მიწის საერთო ან სასოფლო მფლობელობა. აქ მიწა, გარდა ეზოების და სოფელში მდებარე ადგილებისა, არავის საკუთრებას არ შეადგენს. აი, როგორ წარმოებს ამ საერთო საკუთრების სარგებლობა: გუთნების მოტანის დროს პირობას დებს საზოგადოება: ამა და ამ დროს, ამ დღეს, ესა და ეს ალაგი უნდა მოეხნათო. დანიშნულ ვადაზე ვინც მზათ არის ვაეა გუთნით და ვინც სად მიასწრებს იქ დაიჭერს და მოხნავს. მეგრე სარგებლობს ამ მიწით იმ დრომდის, სანამ მიწას რისამე მოცემა შეუძლია. როცა მიწა გამოიფიტება—მაშინ მას ტოვებს და სხვას იჭერს. ასე რომ ერთი ნაწილი მიწისა რომ ხმარებაშია, მაშინ მეორე

1) სოფ. ვაქირ-ანაგა და ჯუგანში, ნამეტნავათ ანაგა-უკანას, და დროს მეკანასკობას უფრო მისდევენ ვიდრე სხვა დარგს მეურნეობისას.



უსარგებლოთ ან სათიბათ რჩება. რადგან მომცემი ადგილები თან-და-თან შემცირდა და აქ კი მისწრებაზე არის საქმე, ვინც მალე მიაწრებს ის უკეთეს და სარგომომცემ ალავს დაიკავეს, ამიტომ ამ უკანასკნელ დროში განშირდა სოფელთა შორის დაეიდარაბა და საჩივარი. ხშირათ ერთი მოხნავს, მეორე გლეხი მივა და სხვის მოხნულს თითონ დათესავს, მესამე კი მიაწრებს და მომკის და იქნება წაღებით კი მეოთხემ წაიღოს. თუ გლეხი შემძლებელია და ღონიერი ქონებით, ის, რასაკვირველია, ძალმომრეობას ხმარობს, ყველგან თავისას გაიყვანს და სოფელში თავის ტყუილს მართლათ ასაღებს. ხშირათ ასეთივე გარემოება თავს იჩენდა ხოლმე რამდენიმე სოფელთა შორის. ერთი სოფლის საზოგადოება მოხნავდა, მეორე დათესდა, მხოლოდ მომკით ან პირველი მიაწრებდა და ან ისევ მეორე მომკიდა, წაღებით კი პირველი წაიღებდა. ატყდებოდა ერთი დაეიდარაბა და ხშირათ სისხლის ღვრით და კაცის მსხვერპლით თავდებოდა. ამ დავას საზოგადოებათა შორის ბოლო მოუღო შარშანდელმა სოფლების გამოყოფნამ, მხოლოდ ერთი სოფლის გლეხთა შორის კი დაეიდარაბა ახლაც არის და თან დათან მატულობს. და ეს უფრო გაძლიერდება მანამდის, სანამდის საერთო მფლობელობას ბოლო არ მოეღება. თუმცა ზოგიერთა ჩვენ ქიზიყელ ინტელიგენტს ვერ დააჯერებს კაცი, რომ ქიზიყში ბევრ გლეხს აკლია მიწა, მაგრამ ნამდვილათ კი დღეს ისეა საქმე მოწყობილი, რომ ბევრ გლეხს არა აქვს იმდენი მიწა, რომ საკმარისათ მოხნას-მოთესოს. ეს კი იმისი ბრალია, რომ ახლო მახლო მიწა შემძლე გლეხს დაუსაკუთრებია, შორსაც ის იჭერს მომცემ, სარგო ალავებს, და მწირ ალავას და ისიც ორის დღის სავალზე მუშაობა კი ღარიბ გლეხს ხელს არ აძლევს.

ქიზიყში აუარებელი ბალახი შეიძლება აიღოს კაცმა, მაგრამ ხშირათ უბალახოთ რჩებიან ხოლმე და ზამთარში საქონელი გამოუკვებავთ რჩებათ. საერთო მამულში გასათიბათ ერთათ უნდა შევიდნენ, მხოლოდ როცა ერთს სცალია, მეორე მოუტლელია და უერთიერთმანეთოთ კი არ გაუშვებენ, ან კი ყველას ერთათ როგორც მოაცილი. ხშირათ ბაღახში შესვლის დროს, იმას უფრო სხვა საქმე აწუხებს ან ბეგარაზე არის გაწვეული, ან მოუკვდა ვინმე და სხვა. ბევრჯელ კი ერთმანეთის ცდაში ბალახი ბერდება, იქცევა და ფუჭდება. ან სულ ნახევარს ველარ იღებენ და თუ აიღეს ისიც უღალოდ და უნოყიერო გაკაჭკებული, ფიტ გამოცლილი, უფარვისი. აი, ამიტომ ძალიან ბევრი სულ უბალახოთ რჩება. საკმარისია სულ მცირე სიცივეები და ხან მოკლე თოვლი,

რომ საქონელი უსაჭმელობით გაწყდეს. შარშანდელმა სულ რამდენისამე დღის განმავლობაში თოვლია მიწა დაჰყარა და აუარებელი საქონელი შიმშილით გაწყდა.

ქიზიყელმა მიწა კიდევაც რომ გააუმჯობესოს, მერე რა იცის იმისი ნამაგვევი ვის დარჩება, ან რამდენი ხანი იქნება მის ხელში. ესევე ემართება საქონლის რიგიანათ და გონივრულათ მოვლა-მოხმარებაში. აქ ხშირათ შეხედებით გლეხს, რომელსაც 20 — 30 მეწველე საქონელი ჰყავს და რძე და მაწონი კი ენატრებათ ოჯახში. რაქნას, სოფლის ახლოს საკუთრება არა აქვს რომ მეწველე საქონელი მოათავსოს და შორიდან კიდევ, სადაც საქონელი მოუთავსებია, ვერ მოუტანია. ქიზიყში სარძეო მეურნეობის (МОЛОЧНОЕ ХОЗЯЙСТВО) მოწყობა ყოველათ შეუძლებელია. მოწველე საქონელი რომ მოიხმარო ამიტომ საჭიროა ერთ ალავას გააჩერო, ახლო მახლო აძოვო და ზამთარში მაინც საკვებ თივაზე დააყენო, რომ რძე მოიღვას და ეს კი აქ მოუხერხებელია. ოჯახი საკუთრებას მოკლებულია და საზოგადოება კიდევ არ დაუთმობს ან მართო უფუნურობით, ან შურით და მტრობით. ერთმა შეგნებულმა კაცმა რომელსაც შევიცარიში ჰქონდა შესწავლილი მეურნეობა, მოიწადინა კიდევ ესარგებლა თავისი საქონლით (60 მომცემი საქონელი ჰყავდა) და მოეწყო მერძეობა ქიზიყში, ხან საზოგადოებასა თხოვა, ხან მთავრობას ერთი 100 დღიური მაინც მომცემით სადმე ერთბაშათ საძოვარი ალავიო, მაგრამ ვერას განდა და თავის განძახვასაც თავი დაანება. ქიზიყში 100 კი არ 500 სი დესეტინაც შეიძლება ერთათ იხმაროს კაცმა, მაგრამ საერთო მფლობელობაშია და რასაც ერთს მოაცემინებ, იმას მეორე წაგართმევს.

ბოსტნეულობას ხომ ქიზიყში ალავი არცა ჰქონია და არცა აქვს. თუმცა ბოსტნეულობა ალავალავ კარგი მოდის, მაგრამ ხანეიც კი არ ექნებოდა ქიზიყს, რომ იერელი თათრები ან ქარელი ლეკები არ ეზიდებოდნენ აქ. ნესე-საზამთროს და კიტრსაც კი თათრები და ლეკები ჰყიდნენ ქიზიყში. უბოსტნობაც მიწის საერთო მფლობელობის ბრალია. რაც საბოსტნე-საბალე ალავებია სულ საერთო მფლობელობაშია. ორმა და სამმა რომ ბოსტნეულობის მოყვანა მოინდომონ, მაშინ სხვები ხელს უშლიან, ან სახნავათ ნიშნენ ამ ალავს და ან სათიბათ დატოვებენ.

საერთო მფლობელობავე უნდა იყოს, ჩემის აზრით, მიზეზი ტყეების შეუპოვრათ გაჩენისა. იქ სადაც წინეთ ტყე იყო — დღეს მისი ნიშან-წყალიც აღარ ემჩნევა. ხშირათ მომეტებულ ნაწილს უნდა ხელახლათ გააშენოს ტყე, მაგრამ როგორც კი ტყე ცოტა გაიზღება — ერთი ვინმე შეერევა, მოჭრის და წაი-

ლებს. რას უზამ? უჩივლებ—გეუბნებიან: მოწილეთ, ნება აქვსო, არ უჩივლებ და ხომ ჰკაფავს, ახლა სხვა იტყვის, რაკი ასეთ მეც ვისარგებლოო, აღგება და ისიც გაჰკაფავს, ამრიგად იჩივება ტყეები და განსაცდელში ვარდება სოფელი; ზაფხულში სიცხე პაპანაქება აწუხებს, ზამთარში სიცივე და წვიმების დროს ხომ ნიაღვრებს მიაქვს ყველაფერი.

მიწის საერთო მფლობელობაში უნდა იქონიებდნენ ამისაც, რომ თვალუწვდენელ მიწებში ერთ ხეს ვერ შეხედებით, რომ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში მგზავრი ან მუშა ხალხი შეეფაროს ვისაც უნდა მკაში უნდა ჩრდილო დაიყენოს, იმან ორი დღის სავალზე უნდა ხეები თან ატაროს თანჩატურის ანუ საგრილობელს გასაკეთებლათ. ხშირათ მთელი დღე მუშა საგრილობელის გაკეთებას უნდა ხოლომე იმდროს, როდესაც დღეში 80—100 კაპილებს. ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ქიზიყის მიწათ მფლობელობა და იმ დროს, როცა ძველებური ზნე-ჩვეულებათა წყობილება დღითი დღე ირყევა, ხალხის მოთხოვნილება იზრდება, შემოსავალი თვალსაჩინოთ მცირდება. ძველებურათ მოწყობილი მეურნეობა აღარ აკმაყოფილებს გლეხს, ძველებური—ჩველებური იარაღიც ვეღარ ასრულებს თავის მოვალეობას და თვით ერთ გული მიწაც მოიღალა, გაცვდა, თხოულობს გაუმჯობესობას, გაპოხიერებას და უკეთესათ მოწყობას, და არც ერთი ეს არ შეიძლება სანამ ეს საზოგადო მფლობელობა ისევ ძალაში დარჩება.

ქიზიყი.

ტ ვ ე შ ი ც!

ლექსი პროზათ.

(გუიღნია ჩემ „მკობრეს“).



ამოვექეცი მხდალ სოფელსა, ტყვე დაბურულო, რომ შენ წილსა, შენ მიდამოს შემოვეფარო: მინდა დროებით განვეშორო უნდოთა ბინას, რომ ჩემ გრძობათა, ჩემ გულის-თქმათ არ დაეძინოს!... მომბეზრდა მზერა ორ-პირობა-გაუტანლობის, შემძაგდა ყოფნა სულ-მდაბალთა და ორ-გულთ შორის,—გული გამეპო, დაეძაბუნდი და გაეთახსირდი, თითქოს ის არ ვარ, რაც ვიყავი, რაც უნდა ვიყო!... ნუ, ნუ დამძრახავ, გეთაყვანე, ტყვე შევნიერო, რომ მე, მეტყველი, შენ, უნოხ, გესაუბრები! მაშ სად წავიდე, ვის მივმართო, ვის რა შევჩივლო? სოფლით ლტო-


ლილსა, მწარეთ მომთქმელს, მიტოვებულსა—მანუქი... გეშებლათ შენდა მივი სამშობლოს მდელი!...

სული განაბე, შეაჩერე ფოთოლთ შიალი, რომ ჩემ მოთქმასა, ჩემ გოდებას ყური დაუგდო? ოხ, გამადლობ, გამადლობ, ჩემო კარგო, ჩემო უმანკო, ნება მომეცი მაშ გაგენდო და გეამბორო... თხოვე კი ნიავს: ნუ იქნება ენა-ტანია, ნუ შეაშფოთებს შენ დაბურულ ხე-ხუე კლდე-ღრეთა, ვითომ მე მათდა დასაზვერათ აქ მოესულიყო. მერწმუნე არა! მსურს მხოლოთ ერთი საწადელი, მსურს მარტო ისა, რომ შენ შეენებას შეეუწონო ჩემი გულის-თქმა, მსურს ერთხელ კიდევ მარტო-მარტომ, თავის წინ მდგომმა, საჩარადისოთ სულთა-სწრაფვა ჩემი გადმოგცე. იქნებ შენ მაინც დამამშვიდო, გამომათხიზლო, იქნებ შენ მაინც გამიჩვეო მწარე საკითხი:

რა არის კაცი, თუ მარად-ყამს მონა იქნება, მონა ცბიერი, მონა მხდალი და მატყუარა, მონა დიდ-კაცის, მონა ფულის, მონა ენებათა, დღე და დამ ჩოქით მოარული ჯერ არს თუ არა!... მარტვი, გენაცვა, რათ იბრიყვებს ერთი მეორეს, რატომ არ ძღვება კაცის თვალი და კაცის გული, და თუ განგებამ ადამის ძეც მხეცთ შეუფარდა, რიდასთვის მისცა მას გონება და სიყვარული?!... ამას შენ გკითხავ, ტყვე, ზურმუხტო, ტყეო უღრანო, თორემ იქ,—სოფლათ,—ვის რას ეტყვი, რას გაუბედავ? მგონი კი იცი ქვეყნის წესი და ჩვეულება: იქ, ჩემო ტურფავ, დაჩივლება არ შეიძლება! კისერს მოგტყვენ, თუ გაიგეს რისთვისაც ტირი, არც იამებათ თავისუფლათ ჩანგისა ჭდერა და თუ კრძალვითა არ დამუწე ენა და პირი, ბოლოს მოგილებს, გაგამწარებს შენიე სიმღერა. . ეჰ, ვთქვა რამ?—ვაია, უთქმელობა—უბედურება, ან კი ჩემი თქმა, ჩემი სიტყვა ვის ეყურება?!... შენც აბუტბუტდი!...

ცელქმა ნიავმა მაინც კიდევ არ დაკაყენა? რათ ახმაურდი, სოფლის მშვენო, მათათა დარაჯო, ჩემი გოდება, ჩემი მოთქმა თუ მოგეწყინა! ან იქნებ გინდა ჩამავალ მზეს გზა დაულოცო და დღის სიცხადით გულ-მოკლულსა, გაბოროტებულს გსურს მთის კალთაზე თავი მიხლო და მიიძინო! მაცალე ერთი, თუ ღმერთი გრწამს, რა დროს ძილია?! რა ხან ცოტა ხანს ყური მიგდე, რა ხან დავიწყე, ბარემ ვთქვა კიდევ, რაც, სათქმელათ გამზადებული, დიდი-ხანია არ მასვენებს, მქენჯნის, მაწვალებს. ჩუ, ჯვირნები ნუ მოგიკვდება, აგრემც შენ ირმებს, შენ მშელის ნუკრებს დღე მიეცემათ.. ან კი შენ, უტყემა, მე, მე ტყველს, რომ არ მომისმინო, ეს ხომ ბუნების, თვით განგების გმობაც იქნება!...

ხედავ დაბლობში სოფელი რომ გაშენებულა? სწორეთ იმ სოფელს, იქ მცხოვრებთა გამოვექეცი.



მიმიხედი რათაც? უფრო იმიტომ, რომ იქ სუყველა თაე-დავიწყებას მისცემია, მოტყუებულა: არ რა მოწონთრა, არ რა უყვართ, არ რას დასდევენ, ჯაფრი არა აქვთ ქვეყანაც რომ გადაუბრუნდეს!... ბობოქრობს ყველა, ფრთას ასხამენ ბორბოტ გულის-თქმათ, ხელის განძრევა ეზარებათ, ესირცხვილებათ, და შიშისაგან, უეცობით გზა აბნეულნი, ცხოვარებით აპყოლიან უცხოთ ფეხის ხმას. იქნებ გგონია თანა გრძნობა მაინც იპოვო? შენც არ მომიკვდე! თანა-გრძნობას იქ რა ხელი აქვს, საღ თაფში გცემენ პეტრე ნუ ხარ, პავლე იყავო!? ასეთი არის, საზოგადოთ, სოფლის ადათი, დალახეროს ღმერთმა მჩაგვრელთ რჯული და სალაფათი!... სათითაოთ კი ყველას თაფი ბრძენი ჰგონია, გან-განზე გარბის, ვინაობა დავიწყებია და გულით მრუდეს, ჭკუით კოტრსა, სულით მწირესა, ამპარტაუნებით გზა და კვალი მთლათ დაბნევი!

ცას ებრძვის ერთა, ვარსკვლავები დაუმონია, მზე არათ უჩანს, მთაგარე ხომ,—საციხელია,—ასე ჰგონია, მაჩანხალათ გაჩენილიყოს. მუტკე დადის დაღვრემილი, დაძმარებული, ოხრავს და შუთათავს მოძმისათვის გულსა იტკივებს... ტყუის საპყარი! ფარისეელობს, ნილაბს ატარებს! და თუმც თვალ-დათვალ დედა-მოწას ფეხსა არიდებს, რომ უნებლიეთ ჭიანჭველა არსად გასრისოს, მაგრამ იმავე დროს, უჩინარათ, ჩუმათ, ფარულათ, წურბელასავით მოძმისავე სისხლითა ძღვება. მესამე ვინმე ერთ ადგილას აღარ ისვენებს: დაძრწის ძალით, დასუნსულებს მელასავითა, ხან აქ გაჩნდება, ხან იქ, ყველგან თვალსა აცეცებს, ყველას აბრმავებს, მეგობრათა თავსა აჩვენებს, და, როს გაძღვება ცბიერებით თავს-ლაფ-დასხმული, სხვას ორმოს უთხრის და თითონ კი სიცილით კმდება... მეოთხე ვინმე „სათნოების ჭურჭელი“ არას: გულ-ხელ დაკრებით ბოღიშსა თხოვს დიდსა და მცირეს, გულ-ჩვილობს მარად... როცა უნდა მაშინ უტირებს... ღეთისა გლახაკი სიმდიდრისა მგმობელი არის, მაგრამ... თვალთმაქცობს უბედური, ყოვლად საზარი და მის ვნებათა, მის ფლიდობას არ აქვს საზღვარი!... მესხთუ ვინმე?... რაღა მენსუთე, გინდ მეთე და მეთასე! არამც თუ იგი, ვინც რომ ერთ ხელ გამდიდრებულა, ვისაც სხვის ოფლით აუგია სრა—სასახლენი, ვისაც მის დღეში არ უგრძენია შიმშილ-წყურვილი და ოქროს ბზინვით დღე და და-

მე თავს ბრუ ასხია, არამედ თვით ის, ვინც მარადის სხვის მონა არის, ვინც სხვის ხელ-ფეხათ გარღუქმნია გარემოებას და გრძნობა დახშულს, შიშისაგან თაე-ზარ დაცემულს ვერ გაუგია რაა კარგი და რაა აფი, ისიც კი, მეთქი,—როგორ არ ვთქვა, ქვეყნის მოყვარის მგმობი არის და მეორეგულე! არიან სხვანიც: წამებულნი, ტანჯულ-დენილნი, მაგრამ იმათთვის ჩვენ სოფელში არაფის ცხელა. მათი ბედია პირზე მარად კლიტე დაიდვან, ან იყვენ ჩუმათ, ან არა და გულა ატარონ.....

— რას აჭრილდი, წარბს რათ იკრავ, მუხანგ მხცოვანო, არ გინდა განა შენ ფრთებ ქვეშე შემოფარებულთ წერილმანა ბუჩქებს ვამცნო ხალხთა უსამართლობა? და მერე შენ რა?

— სსუუ!...
— ოჰო, თქვენც ახმაურდით, გრუზა ბუჩქნო? აბა, რას მეტყვით, ჩრდილში ზრდილნო, რას მიჩურჩულებთ!...

— სსსუუუ!....
— თქვენთვის სისინებთ? უფრო კარგი.. მაინც მუხისგან პასუხს ველი, ვნახოთ რას მეტყვის, ხმას აღარ იღებს.. აღბათ გაწყრა!....

ხა, ხა, ხა! ნუ კი მიბღვერი გულით ფუყე, პირ-შემურულო. შენ ეს მითხარი წელან რისთვის ამოიგმინე? გული გატკინა ადამიანთ გაუტანლობამ, თუ ის გეწყინა, რომ ამ ბუჩქებს შეეტირ-შეეჩივლე და შენ მხცოვანსა, შენ ძლიერსა არ მოკესალმე?.. ეე, ახლა კი მივხედი! რათ გიამება ძლიერთ გმობა, უძლურთ ქომაგი, შენც ხომ ამ ტყისა, ამ წვრილას „ბურჯათ“ ითვლები. და ნეტა რისთვის? ნუ თუ იმიტომ, რომ დაგიჩრდილავს არე-მარე, უზარმაზარო, და დაგიკინავს ამოდენა ყვავილ-ბალახი?... მზეს აღარ უშვებ თითქოს მარტო შენთვის მნათობდეს და ამ მცენარეთ სიცოცხლე კი აღარ უნდოდეს!... აი, მენმა კი ჩავიტანოს, რო ამაყობ კიდევ?!...
— სსსუუუ!....

— რა დაგემართათ თქვენ-ღა მაინც წერილო ბუჩქებო, რათა სისინებთ ეგრე მწარეთ, გულ-ჩათხრობილათ. იქნებ თქვენცა მგმობთ, განურთენენლნო, მზის უნახვენო, რომ თქვენმა მომხრემ მუხას სიტყვა შემოგუბრუნე. ოხ, საცოდავნო, საცოდავნო, თქვენ რო მზე ნახოთ, ეგრე ბრიყენი, ეკრე სუსტნი აღარ იქნებით! დახეთ ამ იას! ესეც წყრობით

საქართველოს
საზოგადოებრივი


„კვალის“ ფოსტა.

პეტერბურგში. ბ. ყარობს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.



პირველი მარტის ტირაჟი.

პეტერბურგში. მე 2 სესხის მე-66
 ტირაჟი: 200,000 მანეთი—11897/7;
 75 000 მ.—1656/17; 40 000 მ.—
 11523/12; 25,000 მ.—181/36;
 10,000 მ.—7971/45, 2923/44,
 8124/10; 8,000 მ.—1350/11;
 5,970/9, 175/44, 5671/7, 4166/35;
 5,000 მ.—1886/40, 17551/40;
 6133/39, 12407/17, 560/43,
 16629/38, 1748/50, 15051/29;
 1000 მ.—11328/5, 5921/32,
 10553/42, 947/36, 14151/13;
 13334/21, 7028/49, 14832/37,
 14209/41, 18514/23, 6569/34,
 8573/5, 5318/2, 2402/36,
 16790/14, 3767/4, 13609/23,
 14590/36, 16684/43, 3070/19.



უცხო სიტყვების ახსნა.

კრიტიკა — რეკვიზ. ორგანიზაცია — დაწყობილება.
 ავიტაცია — ამოძრავება. მეთოდი — მცნების წეს-რიგი.
 დისციპლინა — ურთიერთ-მოწინააღმდეგება. ესტეტიკა — გა-
 ნონდება სელოვნებისა. მორალისტი — ზნეობის მასწავ-
 ლელები. პროტექციონიზმი — უცხო საქონლის დაბა-
 ქვით შინაური წარმოების მფარველობა.



„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციისათვის

იუდეებს შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
 ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
 პატარა ლორდი 30 კ.
 ჩვენი ძველი გმირები 30 კ.
 თეთრი და ზანგი 15 კ.
 სოლომონ მეფე 10 კ.
 ორი მოთხრობა ეგ. ნინო შეილისა 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

თვალსა მიშვრება და „ქრისტეს-პერანგს“, 1) გაფი-
 თრებულს, დაჩივებულს, მორცხესა სახეზე და ცინ-
 ვისა ღიმი უკრთება. წყაროც ბურტყუნებს, ვერხვი
 შიშით დნება... ცახცახებს... მუხა მქუხარი, მუხა
 მწყრალი ყველას აშინებს...

ჩუ! რა ხმა ისმის? რა საზარელი, გულ-გამგმი-
 რი ღრიანცელია! ტყეო, რათ შფოთავ, რა გაწუხებს,
 რათა გრიალებ? — შენცა ვაება, შენცა ოხვრა თავს
 დაგტრიალებს?... ჰოი, საბრალო!

ამას რას ეხედავ? ამრეზილან ტყისა ნადირნიც
 და კბილთა-ღრქენით მიმორბიან აქეთ-იქითა. აგერ
 მწვეარსაც გაუგდია თვის წინ კურღელი, ფეხ-და-
 ფეხ მისდევს საცოდავსა, საცაა, წვდება... ე, უბედუ-
 რი მონადირის მსხვერპლი გახდება. უშველეთ ჩქა-
 რა!... ამ ჯეირანს რაღა მოსვლია? მხარში დაჭრილი,
 შვენიერი, სისხლათ იცლება და ცრემლ-მორეულ
 თვალვებზედა წყველა აკვდება. აქ ძერა ქორნი ბაჭი-
 ებსა დატრიალებენ, იქ ტურა მგლები დარვეიან
 ცხერისა ფარასა... შეხეთ ეს დათვი, ეს პირ-მყრალი,
 როგორა ბლუის და კუდამელა, ეს წყეული, შეჩვე-
 ნებული, ბოროტ-განზრახვით სად მიმჯდარა, სად
 მიმალულა. დაფრთხენ ფრინველნი, აჭკლოპინდენ
 ჩიორაებნიც, აღბათ უბედურთ ალაღმა თუ წამოუ-
 ქროლა! ოჰ, ღმერთო, ღმერთო, აქაც იგივე ძალ-
 მომრეობა, რამაც სოფლიდან გამომდევნა, გული მო-
 მიკლა! ტყეო, სად გაჰქრა შენი სახე შენი შვენება?
 წყედიაღმა შთავნთქა, ნადირთ ყეთამ რეტი დავასხა
 და დამცირებულს ალარავის ჯავრი არა გაქვს?... რი-
 სთვის მეგონე ვგრე ტურფა, ვგრე უმანკო, მაშ რათ
 მიმაჩნდი თავისუფალთ ნავთსაყუდარათ?!... ვაი, ტან-
 ჯულო, მეოცნებე ადამიანო, თითქოს ბუნებაც შენ
 გულის-თქმათ წინა უდგება: გინდა სიმშვიდე, გწყუ-
 რის ძმობა, გწყურას ერთობა, მაგრამ გარშემო სულ
 სხვას ხედავ, სხვა გელანდება!.. არა უშავს-რა... ნუ
 შეღრკები... იბრძოლე მარად, ან ვაჟაკურათ გაი-
 ტანე სვე ბოლომდისინ, ან შენ იდეალთ, შენ გუ-
 ლის თქმათ გაუხდი მსხვერპლათ!.....

თა კვალსაქ.

1) ტყის ყველადა.